

# ლელო

სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის საბჭოს ორგანო  
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 201  
(4195)

1970 წ.

13 ოქტომბერი,  
საშაბათი.  
შანი 8 კაპ.

გაზეთი გადის  
1984 წლის  
18 აპრილიდან

**507.5 კაპ**

სარკონი, კვიტკოვიჩი

ძალისა და სიძლიერის მსოფლიო ახალი რეკორდი დაამყარა საშუალო წონის ათლეტმა ბ. პავლოვმა. მან სამჯერ 507,5 კგ დააგროვა. ეს შედეგი 2,5 კგ-ით მეტია კოლუმბუსში მსოფლიო ჩემპიონატზე გ. ივანჩიკოვის მიერ დაყარულ მსოფლიო რეკორდზე.

## საქართველოს გუნდი მორა აღბილვა

ლენინგრადი, 12 ოქტომბერი. გუნდი აქ, ზამთრის სტადიონზე, დამთავრდა სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირმა, რომელიც ძალთა სერიოზული შემოწმება იყო სსრ კავშირის ხალხთა V სპორტაკადემიის წინ, მონაწილეთა სარეზერდო რაოდენობას მოუყარა თავი. აქ იყვნენ ისინი, ვისაც გაინისთვის წამყვანი როლები დაეკისრება თავიანთ გუნდებში, და ისინიც, ვინც ნაკრებ კოლექტივებში ვეტერანებს შეეცდებიან.

და სპეციალური თასები მოიპოვა, არის 3 მოქალაქე საქართველოდან, 2-2 — რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან და ერთი — აზერბაიჯანიდან.

გუნდურ ჩათვლაში წარმატებას რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა მიაღწიეს, რომლებიც ტურნირში 22 მოქალაქე იყვნენ წარმოდგენილი. II ადგილზე გავიდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (12 მონაწილე), III — უკრაინის გუნდი (13 მონაწილე).

შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჭიდაობის სამყაროში ძალთა სერიოზული გადანაცვლება არ მომხდარა. როგორც ცნობილია, ნევის ნაპირებზე ურთიერთობას არაკვედნენ არა მარტო რესპუბლიკების ნაკრები გუნდები, არამედ სპორტსმენები ყოველ წლით კატეგორიაში. მათთვის მცირე მედლების გარდა დაწესებული იყო სპეციალური თასებიც. და აი, გამარჯვებულთა უბრალო ჩამოთვლაც საქართველოს დასადასტურებლად, რომ უძლიერესთა შორის ისევ და ისევ რუსეთის ფედერაციის, საქართველოს, უკრაინისა და ყაზახეთის წარმომადგენლები გვხვდებიან. გაკვირვებას იწვევს მხოლოდ მსსკოვისა და ბელორუსიის მოჭიდავეთა წარუმატებლობა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სსრ კავშირის ხალხთა V სპორტაკადემია მათ ბევრი რამ ექნებათ სათქმელი.

მათ შორის, ვინც მცირე მედლები

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: რ. გაგიევა (აზერბაიჯანი), პ. პლატონოვა (მსსკოვის ოლქი), გ. ჩერტოვა (უკრაინა), ა. ბუგუბაევა (ყაზახეთი), ნ. ხარულაევა (რუსეთი), ზ. ბერაშვილი, ლ. თედიანიშვილი, შ. პაპაშვილი (სამივე — საქართველო), გ. გულიუტკინა (უკრაინა), ა. აიხანოვა (ყაზახეთი).

როგორც ხედავთ, გამარჯვებულთა შორის რამდენიმე ახალი გვარია. ესაა პირველი რიგში უკრაინელი გ. ჩერტოვა, რომელსაც ადრე საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორთა რიგებში არ შეუხვედრივართ. ჩერტოვამ ლენინგრადში თავი გამოიჩინა, როგორც წინადა მოგებების ოსტატმა. გუშინდელი გამარჯვება ასევე პირველი წარმატებაა ალმათელი ა. ბუგუბაევისათვის და საქართველოს გუნდის წევრის შ. პაპაშვილისთვის.

## პირთი საზოგადოების

მარშალი, 12 ოქტომბერი (დუბუი, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო მეორე რუნდის გუნდების საკავშირო პირველობის ფინალური შეხვედრები

რუნდში. გამარჯვებული კოლექტივი გახდა უმაღლეს ლიგაში მსსკოვის „დინამო“ ადგილს დაიკავებს. აქ სასპორტოლოდ თავი მოიყარეს თბილისის „დინამო“ (ფინალში ორი მოგებიანი ქულით გაიგდა), ვილინიუსის გუნდმა (2 ქულა), კიევის „სპარტაკმა“ და მსსკოვის „ნიჰიმ“ (თითო ქულა), ნაღრიის „სპარტაკმა“ და ერევნის „დინამო“ (0).

თბილისის „დინამო“ პირველ ტურში ვილინიუსელებს შეხვდა, თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ძლიერი შეტევა დაამარცხა. — 13:3. თბილისელთაგან გუნდის ქულები მოუპოვეს: ხაჭაპურიძემ (4), გ. აბაშიძემ, მირიონოვმა და აკოფოვმა (3-3).

კიევის „სპარტაკმა“ დიდი ანგარიშით სძლია ერევნის „დინამოს“ — 41:3. დაძაბული გამოღვა ნაღრიის „სპარტაკის“ და „ნიჰიმის“ გუნდების დუელი, რომელიც ნაღრიელთა გამარჯვებით (14:9) დამთავრდა.

### ა. მებრეველი და ო. შოროვა — აგსოლუბარი ჩეხეიონაუი

ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში. როგორც მოსალოდნელი იყო, თავი ისახელეს საქვეყნოდ აღიარებულმა სპორტსმენებმა — მოსკოველმა ო. შოროვამ და თბილისელმა ა. მებრეველმა, ორივე ჩოგბურთელი ყველა თანრიგში პირველი იყო. შოროვამ ერთეულთა ფინალში დაამარცხა რიგელი ზ. იანსონი — 6:4, 6:8. ქალთა წყვილებში მასთან ერთად ჩემპიონი გახდა იანსონი. მოსკოველისა და რიგელის დუეტმა ფინალური შეხვედრა მოუგო ა. ერემეევას (ლენინგრადი) და ე. კრიუჩკოვს (მოსკოვი) — 6:2, 6:3. შერეული წყვილების ფინალში შოროვასთან ერთად მებრეველი გამოდიოდა. აქაც გამარჯვება, ამჯერად ალმა-ათელ შ. კროშინასთან და მოსკოველ გ. კოროტკოვთან — 6:4, 6:6, 6:1.

მებრეველმა ფინალში სძლია თავის ძველ მეტოქეს, ტალინელ თ. დილიუსს — 6:4, 6:4. მანვე ბაკოელ ს. ლიხაჩოვთან ერთად მოიგო ვაშთა წყვილების ფინალიც — მოსკოველებთან ვიარ. ეგოროვთან და კოროტკოვთან — 10:8, 6:4, 2:6, 4:6, 6:4.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე : ა. მებრეველი და ო. შოროვა.

## სპორტის

- **მოსკოვი, 11 ოქტომბერი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალურ მატჩში მოსკოვის ცხკა-ს ჰოკეისტებმა სძლიეს თანაქალაქელ სპარტაკელებს (5:6) და თასი დაიკავეს. თუმცა პირველი მატჩი სპარტაკელებმა მოიგეს (8:2), ორი მატჩის შედეგების მიხედვით გამარჯვება არმელებს დარჩათ.
- **ვინაპი, 11 ოქტომბერი.** აქ გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში გათამაშდა 6 ტური. ლიდერობს ჩეხოსლოვაკელი დიდოსტატი ჰორტი, რომელსაც 4 ქულა აქვს. მას 0,5 ქულით ჩამორჩებიან სამჭოთა დიდოსტატი ტაიანოვი, უნგრელი საბო და იუგოსლავიელი გლიგორიჩი.

- **ბარსელო, 12 ოქტომბერი.** დამთავრდა მოკრივეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები, რომელთაც 4 პირველი ადგილი დაიკავეს. ესენი არიან: გ. სოკოლოვი (ჩეხოსლავია), ვ. ტრეგუბოვი, ი. ნესტეროვი (ორივე — ვოლგოგრადი) და ა. შებილოვი (მოსკოვის ოლქი).
- **ბაკო, 12 ოქტომბერი.** კიევის „სპარტაკის“ ხელბურთელ ქალთა გუნდმა მეორედ მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი. ეს ცნობილი გახდა, როცა უკრაინელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს მინსკის „ტენისოლი“ (14:11) და დანარჩენ მონაწილეობის მიუხედავად აღიარდნენ.
- **მოსკოვი, 12 ოქტომბერი.** მოჭადრაკე ქალთა შორის სსრ კავშირის თასის პირველი მფლობელი გახდა მოსკოველი ოსტატი ტ. ლეშჩიკო, რომელმაც დაამარცხა ტალინელი მ. რანიკუ.
- **ტაშკენტი, 12 ოქტომბერი.** აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. ჭიდადის დაეუფლა სვერდლოვსკელი ა. ნაზმუტდინოვა.

## სპარტაკი და დაბიჯებს რუსეთის მიწაზე

სსრ კავშირის ხალხთა V საზოგადოებრივი სპორტაკადემიის მასობრივი შეჯიბრებები უკვე რუსეთის ფედერაციის 60 ათასზე მეტ ფიზკულტურის კოლექტივში ჩატარდა. ამ შეჯიბრების სტარტზე 16 მილიონამდე კაცი გამოვიდა. — ეს ითქვა 9 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიაზე, რომელიც საგანგებოდ ამ საკითხს მიემდგინა.

ყველა ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ქალაქებისა და რაიონების უმეტესობაში სპორტაკადემიის მონაწილეობისა და ჩატარების საკითხი განიხილეს პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტები, სასპორტაკადემიო შეჯიბრებები ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების

ყველა სპორტულ კლუბში, სასოფლო კოლექტივების უმეტესობაში, „სპარტაკის“, „ტრუდის“, „შრომითი რევოლუციის“ კოლექტივებში. სპორტაკადემიის მონაწილეობა თითქმის მილიონანევარმა თანრიგის შედეგი აქვინა. აქედან 500 სპორტის ოსტატთა დონის მაჩვენებელი იყო.

ორგანიზებულად ჩატარდა შეჯიბრებები სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, ომსკის, აშურის, ტამბოვის, გორკის ოლქებში, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩენ-ინგუშეთისა და მორდვეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, მოსკოვისა და ლენინგრადში.

ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა „უროპაის“ ბეკეცის რაიონისა და კალინინის ოლქის კოლმეურნეობა „პროექტორის“

თაოსნობით წამოყენებულმა დევიზმა: „არ ერთი დასვენების დღე შეჯიბრების გარეშე!“

სსრ კავშირის ხალხთა V საზოგადოებრივი სპორტაკადემიის სტარტების შემადგენელ ნაწილად იქცა რუსეთის სასოფლო სპორტული თამაშების, რომელშიც 4 მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობს, აგრეთვე რუსეთის სტუდენტთა თამაშები 380 ათასი სტუდენტისა და მასწავლებლის მონაწილეობით.

სპარტაკადემიის მსგელობის მანძილზე 300-ზე მეტი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი შეიქმნა. ყოველივე ზემოთქმულთა ერთად, რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობაში პირველ ეტაპზე სერიოზული ნაკლოვანებებიც შეინიშნება. სხვათა შორის, ბევრი კომიტეტი გერ კიდევ სათანადო ყურადღე-

ბას არ უთმობს სპორტის ოლიმპიური სახეობების, პირველ ყოვლისა, მძლეოსნობის, ცურვისა და ტანვარჯიშის განვითარებას.

კოლეგამ დასავლეთის ოლქების ნაკლოვანებთა აღმოფხვრისთვის, აღიხიშნა, რომ შეჯიბრებები და სხვა სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები კოლექტივებში, რაიონებისა და ქალაქებში არც სპარტაკიადემიის პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ შეწყვეტილა.

კოლეგამ იმსჯელა საბჭოთა მოკურავეთა შედეგებზე ევროპის ჩემპიონატში (ბარსელონა) და საბჭოთა მძლეოსნების მონაწილეობაზე ევროპის თასების წლებადელ გათამაშებაში. სსრ კავშირის ხალხთა გუნდების გამოსვლა ამ შეჯიბრებში არადაამყარებულად იქნა მიჩნეული.

კოლეგამ დაამტკიცა მთელი



რივი ღონისძიებები, რაც დასავლეთი სპორტსმენთა კლასის აბოლუციის, ოსტატთა აღზრდის მიზნით, სხვათაგან განიხილა გამომცემლობა „ფიზკულტურა“ ო სპორტის“ თემატურით გამგმა 1971 წლისთვის, ავტორები: ქვეყნის ჩემპიონების პრიზიორების, მსოფლიო, ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდსმენების მედლებით დაჯილდოების წესი.





სსრ კავშირის პირველობა

II კვირა

11 წონა

მრი სავარსებო — მრი ბოლო

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 11 ოქტომბერი. „დინამო“ (ბათუმი) — „შირაკი“ (ლენინაჯანი) 2:1 (1:1). „დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, ქორაძე, სირბილაძე, გიორგიალი, ილურიძე, მახვილიანი, ვუაკვიტაშვილი, ჩხარტიშვილი, ეხებუა, რამიშვილი. „შირაკი“: ივანესიანი, პაპიანი, მუხიანი, პაირაკიანი, კარაბეტიანი (აკოფოვი), თომაშვიანი, სარქიანი, გალუბტიანი, პოლოსიანი, ბარსევიანი (არგუშვიანი), დავითიანი. შუაში ვ. შვეციშვილი (ცხლოვოდსკი).

შა... დანიშნა საჯაროო რამიშვილმა დასაბუთებით 20 მეტრიდან დაარტყა და ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ლენინაჯანელებმა ერთ-ერთი შეტევისას, 28-მ წუთზე, შეძლეს წინასწორობის აღდგენა. პოლოსიანი შორიდან მოულოდნელად დაარტყა. ბათუმელთა მეყარემ დაავიანა და ძელს მოხვედრილი ბურთი ბათუმი ჩაეშვა. შეხვედრის შემდეგ 3 წუთივ არ იყო გასული, რომ სტუმრები კვლავ დასაბუთებ უსწვრიბით. ამჯერად საჯაროო (მანძილი 25-28 მეტრი) კარგად დაარტყა ქორიძემ და ანგარიში გახსნა 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ. თამაშის ბოლომდე უპირატესობა ბათუმელების მხარეს იყო, მაგრამ ანგარიში არ გახსნა.

მ. შურაბანიძე. (ტელეფონით, ჩვენი კორ.)

გაგვიკმა, გაგვიკმა, გაგვიკმა

გუშინწინ გაიმართა ხაკავშირო ჩემპიონატის სამი მატჩი. მოსკოველი დინამოელები ხაკუთარ მინდორზე შეხვედრენ თანაქალაქელ სპარტაკელებს. მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ორივე გუნდი იმპროვირებულად და შედეგად სტადიონი. პირველ ტაიმში დინამოელები უფრო მწვავედ უტევენ. მაგრამ ამოდ — ანგარიში არ გახსნილა. შეხვედრის შემდეგ სპარტაკელები გააქტურდნენ, მაგრამ გოლი ვერც მათ გაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა, ხანაზობრავად იგი უაღრესად მიმზიდველი იყო. ამ დღეს კიდევ ერთი ფრე აღინიშნა: ოდესაში „ჩერნომორცეს“ ქულის გადარჩენა მოუხდა „სახთაქორთან“ შეხვედრაში: ჭერ ტაშენტელმა რომ...

დინამომა გაიტანა გოლი. ცა თამაშის დამთავრებამდე თი აკლდა მასპინძლებმა (ბოსი) ანგარიში გავეითეს. „სახთაქორმა“ საკუთარ მინდორზე დამარცხდა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი ცხა — 1:0. ეს ერთადერთი გოლი, 45-ე წუთზე გაიტანა შალიჩევმა.

Advertisement for 'Sopra' newspaper with logo and contact information.

ლენინგრადელთა დუბლი

ტაშკანტი, 12 ოქტომბერი. „ფაბრიკის“ სტადიონმა მძლეოსან ქალთა საკავშირო თასის — „რუსტიის“ პრისის ფინალური ტურნირის დამთავრების შემდეგ ერთი დღით შეიწყდა. შემდეგ ეს სარბიელი ორ დღეს მასპინძლობდა ვაჟთა „ა“ ჯგუფის ფინალური ასპარეზობის მონაწილეებს — მოსკოვის I და II, ლენინგრადის I და II, რიგის, დონეცკის, მოსკოვის ოლქისა და სვერდლოვსკის კოლექტივებს. აქტი, ისევე, როგორც ქალთა შეჯიბრებაში, პირველი დღის შემდეგ რიგელები დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოს ლატვიელი ვაჟებიც III ადგილზე გა...

ვიდნენ — 120 ქულა. მათ მოსკოვის I გუნდთან ქულა წააგეს. თასი კისვე ლენინგრადელებმა დაისაკუთრეს — 137. პირადი მაჩვენებლებიდან პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ლენინგრადელი სტუდენტის ა. სპირიდონოვის შედეგი. უროს ტყორცნაში მან იუნიორთა ახალი მსოფლიო რეკორდი (67,78) დაამყარა. 100 მეტრზე რენა მიიგო ვ. საბეიამ (მოსკოვი) — 10,5, ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენმა ვ. ლიანოვმა (მოსკოვის ოლქი) კვლავ კარგი შედეგი (62,58 მ) მოიპოვა. 4x100 მ ესტაფეტაში მო-

სკოლის გუნდმა მაღალი შედეგი (39,6 წამი) აჩვენა. სიგრძეზე სტომა მოიგო ი. ტერ-ოვანესიანი (მოსკოვი) — 767, 400 მ თარჯნბენი — დ. სტუკალოვა (ლენინგრადი) — 51,6. ბირთვის კერაში 19-მეტრიან უღვარს ორმა სპორტსმენმა გადააბარა — ვ. გუშჩინა (მოსკოვის ოლქი) 19,58 მეტრი აჩვენა, ხოლო ვ. ვოიკინა (ლენინგრადი) — 19,45. რიგელი ი. ლუსისის შუბმა 84,22 მეტრი იფრინა. ლენინგრადელთა გამარჯვებაში დირეული წვლილი შეიტანა გუნდის კაპიტანმა ბ. საგრუკამ, რომელმაც იმარჯვა 200, 400 და 4x400 მეტრზე ესტაფეტაში.



სოხუმელებს ბაიარებთა და კანოების ნიჩბოსნობის კარგი ტრადიცია აქვთ. აქაური სპორტსმენები რესპუბლიკურ ტურნირებში სწორად წარმატებით გამოდიან. ამ ტრადიციის შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის აფხაზეთის დედაქალაქში ნავოფორად მუშაობენ სექციები, რომლებშიც ათობით ახალგაზრდა გაერთიანებული. მათ შორის ერთ-ერთი მოწინავეა „განთადის“ საოლქო საბჭოს სექცია, რომლის აღსაზრდელები აფხაზეთის სპარტაკიადისთვის ემზადებიან. სურათზე: განთადელი ნიჩბოსნები სოხუმის უბნში ვარჯიშის დროს. მ. ზარგარაიანის ფოტო (ჩვენი სექც. კორ.)

ოქრო — ნავებით

დონესკი, 11 ოქტომბერი. ადგილობრივ წყალსაცავზე გრძელდება სამბუთა კავშირის ჩემპიონატი ბაიარებთა და კანოების ნიჩბოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ვეროპის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრისიტურები. ორი გამარჯვება იხილა ვ. ცარიოვმა („სტრუდი“). მან ერთადგილიანი ბაიარებით ჯერ 1000 მეტრზე რბოლა მოიგო, ხოლო შემდეგ ოქროს მედალი მოიპოვა 10000 მეტრზე ასპარეზობაში — 45.13,8. ცარიოვის თანაგუნდელმა ლ. პინიაკომ ერთადგილიანი ბაიარებით შეჯიბრებაში 500 მეტრი 2 წუთსა და 7,2 წამში და-

ფარა და პირველობა შეინარჩუნა. ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე რბოლა მოიგო არმეილა ა. ტიშჩენკომ, ხოლო ორადგილიანებით ასპარეზობაში იმარჯვა პ. გრეშჩა — ვ. გოროდეცის („შრომითი რუსელები“) დუეტმა — 1.41,1. 10000 მეტრზე ორადგილიანი ბაიარებით ოქროს მედალს დინამოელები ს. კურევი და ვ. იზაკი (41.18,8) დაკაპტონენ, ხოლო კანოებით შეჯიბრებაში — მათი თანაგუნდლები ვ. ჩიხუნასი და ზ. სურუტი (45.09,5). ერთადგილიანი კანოებით ამავე დისტანციაზე ასპარეზობა სპარტაკელმა რ. ნავორინმა მოიგო — 49.48,5.

Advertisement for 'Sopra' newspaper with logo and contact information.

კვირტორები სტადიონზე

ახლან სოხუმში გაიმართა სამოქალაქო აეროფლოტის ფეხბურთელითა გუნდების შეჯიბრება „ჩერნომორცეს“ თასზე. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს, სოხუმის, მოლდავეთისა და უზბეკეთის ნაკრებმა გუნდებმა. საქართველოს ნაკრები, დაკომპლექტებული იყო თბილისელი და სოხუმელი ავტორებით. ჩვენებმა ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს და მეხამედ მოიპოვეს გაიდაშვალ თასი — „ჩერნომორცეს“. საქართველოს ნაკრებმა ჭერ მოუგო სლოვეთის (6:4), შემდეგ უზბეკეთის

(2:0) და ბოლოს მოლდავეთის (4:2) გუნდებს. კარგი თამაშით გამოიჩინოდნენ ი. გოლოვინი, ა. ლეკვიშვილი, ს. თიგევილი, ს. ხაბონიანი, გ. ბოკუჩაი, თ. იმედაძე, განსაკუთრებით. 36 წლის სოხუმელი ავიატექნიკოსი ა. ჩიხლაძე. ამ უკანასკნელმა მოლდაველ ფეხბურთელთა გუნდის კარში 3 გოლი გაიტანა. მწვრთნელებმა რ. ტალიაშვილმა და გ. ცაავამ მართლაც კარგად მოამზადეს გუნდი. თ. კალაბოვიშვილი. სოხუმი.

Advertisement for 'Sopra' newspaper with logo and contact information.

სსრ კავშირის პირველობა

გატყობინებთ 7 ოქტომბერს გამართული სოვიერთი შეხვედრის შედეგს, რომლებიც რედაქციამ რეგულარულად მიიღო: „დინამო“ (მანჩესტერი) — „ტორპედო“ (ტვან-როვი) 2:0, „ფოლადი“ (სუმგაითი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 0:2.

„დინამო“ (კიროვადი) — „სტალი“ (ვოლოგრადი) 0:1, „შირაკი“ (ლენინაჯანი) — „მინივი“ (იაროსლაველი) 0:0, „დრუბა“ (მაიკოვი) — „მეტალურგი“ (ტულა) 1:2, „მეშუი“ (პიატიკორსკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 4:2, „ავტომობილისტი“ (ნალიკი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 4:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ვოლგა“ (გორკი) 1:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სალუტი“ (ბელგოროდი) 2:0.

კათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

Table with 5 columns: Team Name, Goals Scored, Goals Conceded, Points, and other statistics. Includes teams like Dinamo, Spartak, etc.

„სტრელა“ — თასის გვლოვანი

ჩანონესი, 11 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა ფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე. ფეხბურთელთა კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ეს იყო რიგით მე-15 გათამაშება, რომლის ფინალშიც ერთმანეთს პირისპირ დადგნენ

9 ოქტომბერს ლენინბუთში გაიმართა ადგილობრივი „გურიისა“ და მახარაძის „მეტალურგის“ გამტოვებული შეხვედრა. გაიმარჯვენ მასპინძლებმა. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა გუნდებმა, შეხვედრის შემდეგ კი გოლები გაიტანეს პერტენავამ და ძიმბურმა.

მოსკოვის „სტრელა“ და ნიკოლოვის (ლოვინ ოლქი) „ცემენტნიკი“. „სტრელამ“ აღმავლობით ჩაატარა შეხვედრა, „მშრალი“ ანგარიშით (3:0) გაიმარჯვა და მეორედ მოიპოვა თასი.

# სიასლე, როგორც გზის უსსნის ასაღვარებს

ყოველი გუნდის შემადგენლობაში, რომელიც კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში გამოდის, 12 მოთამაშეა. არიან, რა თქმა უნდა, კიდევ სპორტსმენები, რომლებსაც ცალკეულ შეხვედრებში, ეპიზოდურად უმდებლო გამოვლენა, მაგრამ კოლექტივის ძირითად ბირთვს, როგორც წესი, 12 კალათბურთელი შეადგენს.

რატომ დავიწყეთ გუნდის სტრუქტურაზე საუბარი? იმიტომ, რომ 1971 წლის ჩემპიონატმა (რომელიც წლეულს ნოემბრის მეორე ნახევარში დაიწყება) მთლიანად შეცვალა აქამდე არსებული სისტემა და ახალგაზრდა კალათბურთელთა წინაშე ფართო პერსპექტივები დასახა.

უწინ რატომ გუნდების ახალგაზრდობას თავის გამოჩენის ძალიან ცოტა საშუალება ჰქონდა. ერთი-ორი ნაცოლავი. ტურნირი, უმთავრესად კი მასურბელებისთვის განკუთვნილი ადგილი, როცა რესტრუქტურა თამაშობდნენ. — ეს იყო და ეს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში მზარდი კალათბურთელების დაოსტატება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა და ზოგჯერ სპორტსმენი საერთოდ კარგავდა ხალისს კალათბურთისადმი.

კალათბურთის საკავშირო ფედერაცია კარგა ხანია ეძებს გზებს ამ ნაკლის გამოსწორებად და, როგორც ჩანს, მიაგნო კიდევ მას. ყოველ შემთხვევაში, ახალი გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო წლეულადელ გათამაშებას, უკეთეს პირობებს უქმნის ახალგაზრდა, პერსპექტიულ კალათბურთელებს.

ახლა საკავშირო პირველობაში, ფუნდამენტალური ჩემპიონატის მსგავსად, ძირითადი შემადგენლობების გვერდით დაშვებული არიან დუბლ-შემადგენლობანიც, რომლებიც ცალკე გათამაშებენ პირველობას. მაშ ასე, „კლასის უმაღლესი ლიგის ყოველ კოლექტივს ჰყავს თავისი სათადარიგო შემადგენლობა, რომელიც თამაშებს ძირითადი გუნდების მატჩის წინ.

ამ სიახლემ ერთიორად გაზარდა გუნდის სავანაცხადო წევრთა რაოდენობა. ამიერიდან ყოველ კოლექტივს ეყოლება 25 კალათბურთელი და სწორედ მათგან დაკომპლექტებს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებს. მაგრამ ფუნდამენტალურად განსხვავებით, აქ ერთგვარი შევსვლა დასველებული: ორივე გუნდში თამაშის უფლება მხოლოდ 18 კალათბურთელს მიეძღვნება. ამასთან, ყოველ მოთამაშეს მოედანზე ყოფნა შეუძლია მხოლოდ 40 წუთს (ვთქვათ, 25 წუთი — ძირითად გუნდში და 15 წუთი — დუბლში).

რეფორმის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს. ახალგაზრდა სპორტსმენებს, რომლებიც ადრე კანტიკუნტად გამოდიოდნენ საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში და რომლებიც უმეტესად თავიანთი ტურნირებით იყვნენ დაკავებული (ისიც წლის მანძილზე ერთხელ ან ორჯერ ტარდებო-

და), ახლა, ისევე როგორც უფროს კოლექტივებს, მთელი 22 შეხვედრის ჩატარება მოუწევთ (როგორც ცნობილია, 1971 წელი სსრ კავშირის ხალხთა სპორტკავშირის წელია, ამიტომაც უმაღლესი ლიგის გუნდები წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით მხოლოდ ორ წრეს ითამაშებენ). ეს 22 მატჩი, ექვს გარეშეა, თავის სიტყვას იტყვის.

ამ ცოტა ხნის წინ კურსში მოეწყო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. თბილისის გუნდის შემადგენლობაში, რომელიც უკვე მთელი წელია არსებობს, 10 კალათბურთელი გამოდიოდა. ისინი ამჟამად „დინამოს“ რესტრუქტურის კოლექტივის წევრებად ირიცხებიან. ამიტომაც იყო, რომ კურსის ტურნირის ერთი საინტერესო კითხვაა უნდა გაეცა პასუხი: როგორი რეზერვით ხვდება რესტრუქტურის საუკეთესო კოლექტივი ახალ ჩემპიონატს?

კურსში თბილისის დინამოელთა გარდა ასპარეზობდნენ შარშნდელი ტურნირის ჩემპიონები — ხარკოველები, აგრეთვე, მთკოვის, ვოლგოგრადის, პერმის, ბელგოგრადისა და კურსკის კალათბურთელები. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა.

წარმატებით იასპარეზეს თბილისის ახალგაზრდა სპორტსმენებმა (1950-1953 წლებში დაბადებულნი). მათ თანმიმდევრულად დამარცხეს ყველა მეტოქე და გათამაშებაში I ადგილი დაიხსურეს. თბილისელებმა სძლი-

ეს: კურსელებს (69:62), ვოლგოგრადელებს (82:52), პერმელებს (70:44), ბელგოგრადელებს (61:28), უადრესად დაძაბული და საინტერესო ფინალური მატჩი მოუგეს მოსკოველებს (57:48). საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განწილდა: 1. თბილისი, 2. მოსკოვი, 3. ბელგოგრადი.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ვესაუბრეთ გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ლ. ინჭკირველს და ვთხოვეთ განვიარჩინოთ თავისი შთაბეჭდილებები.

— ტურნირმა საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, — თქვა მწვრთნელმა. — ჩვენი გუნდი, რა თქმა უნდა, უძლიერესი იყო და დამსახურებულად გავიდა I ადგილზე. მე, როგორც მწვრთნელი, განსაკუთრებით გამაოგნებელი ვარ მოსკოვის გუნდთან თამაშით, ამ კოლექტივში 5 კალათბურთელია, რომელთა სიმადლე 2 მეტრს აღემატება. ცხადია, ასეთ მრისხანე მეტოქესთან გამარჯვებას ორმაგი ფასი აქვს.

თბილისის კალათბურთელთა დამსახურებულ წარმატებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სამი სპეციალური ჯილდოდან ორი მათ დაიხსურეს. საჭარბო სროლების შემსრულებელი საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი პრიზი თბილისელებმა მიიღეს (70 პროცენტი). საუკეთესო მცველის პრიზიც ჩვენმა თანამემამულემ — თ. ფიცხვალაურმა დაიხსურა. ტურნირის საუკეთესო თავმჯდომარეა აღიარებულია ბელგოგრადელი ა. გონჩაროვი.

**საქართველოში**  
**საქართველოში**  
**საქართველოში**  
**1971**

- ◆ **30503030**, 12 ოქტომბერი. აქ გამართულ მოკვადრატოთა საერთაშორისო ტურნირში 7 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ტაიშანოვი და გლიგორიძე, რომლებსაც 4,5-4,5 ქულა აქვთ.
- ◆ **სოფია**, 12 ოქტომბერი. ბულგარეთის ტრადიციულ ველიროლოში გამარჯვებული იყო ოლიმპიადის ჩემპიონმა 100 კმ-ზე გუნდურ შეჯიბრებაში, პოლანდიელმა ფ. დენ ჰერტოგმა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყვნენ პოლანდიელები.
- ◆ **კიუზნიოვი**, 12 ოქტომბერი. „მეგობრობა და ძიება“ — ამ დღეებით ტარდება აქ სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი სასოფლო-ელების გუნდების შეჯიბრება, რომლის პარტიაშია ავტომობილებით ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. სარბოლო მანქანების ყველა კლასში 500-მეტრიან დისტანციაზე წარმატებით იასპარეზეს კომინიველ მ. ბუიანოვის, მოსკოველ ვ. პობოვის, ბაქოელ ს. საზონენკოს, ტულელ ვ. ზოსიმოვის, ერევნელ ფ. არაქელაიანის მოედლებმა, რომლებმაც საათში 200 კმ სიჩქარე განავითარეს.
- ◆ **დონეცკი**, 12 ოქტომბერი. აქ გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ბაილარბითა და კანოებით ნიჩხოსობაში გამოვლინდნენ ჩემპიონები 500-მეტრიან დისტანციაზე ორადილიანი და ოთხადილიანი ნავეებით შეჯიბრებაში. პირველ სახეობაში იმარჯვეს მინსკელებმა — თ. შიმანკაია და გ. ბუზრუჩენკო. ოთხადილიანებში ყველას აჯობეს დინამოელებმა. 1000 მეტრზე ორადილიანი ბაილარბით ჩემპიონები გახდნენ ნ. გორბაჩოვი და გ. კოიშოვი. ერთადილიანი კანოებით შეჯიბრებაში უძლიერესი იყო კალინინელი ნ. ფედულოვი.

## კალათბურთი-71

20 ნოემბერს მოსკოვში, ადგილობრივი „დინამოს“ და ცსკა-ს კალათბურთელთა მატჩით სტარტს აიღებს კალათბურთელ ვაჟთა XXVIII საკავშირო ჩემპიონატი.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 12 კოლექტივი (გუნდები განლაგებული არიან წინა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ფრჩხილებში იდენიფიკაცია თუ რომელია კოლექტივმა რამდენი ქულა აიღო): 1. ცსკა (29), 2. ლენინგრადის „სპარტაკი“ (25), 3. კიევის „სტროიტელი“ (22), 4. კულნასის „ჟალგირისი“ (21), 5. მოსკოვის „დინამო“ (21), 6. ტარტუს „კალევი“ (18), 7. თბილისის „დინამო“ (16), 8. რიგის ასკ (11), 9. კიევის ასკ (11), 10. თბილისის „ბურევესტნიკი“ (9), 11. რიგის ვეფ-ი, 12. მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტი.

წინა ჩემპიონატში ბოლო ორ ადგილზე გასულმა კოლექტივებმა — ალმა-ათის „ლოკომოტივი“ (8) და სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ (7) დაკარგეს უმადლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება. მათი ადგილები XXVIII ჩემპიონატში რიგის ვეფ-მა და მინსკის რადიოტექნიკური ინსტიტუტის (რტი) გუნდებმა დაიკავეს.

როგორია I წრის შეხვედრათა კალენდარი ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისთვის?

**„დინამო“ (თბილისი)**

1970 წ. 22 ნოემბერი. „ჟალგირისი“ (კაუნახი) — „დინამო“ (თბილისი)

25 ნოემბერი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

28 ნოემბერი. ვეფ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი)

3 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

6 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (კიევი)

9 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი)

16 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)

20 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი)

25 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ)

1971 წ. 4 იანვარი. ასკ (რიგა) — „დინამო“ (თბილისი)

7 იანვარი. ცსკა — „დინამო“ (თბილისი)

**„ბურევესტნიკი“ (თბილისი)**

1970 წ. 28 ნოემბერი. ცსკა — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

26 ნოემბერი. ვეფ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

29 ნოემბერი. ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

8 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დინამო“ (თბილისი)

8 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (კიევი)

11 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — რტი (მინსკი)

18 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)

22 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი)

27 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ)

1971 წ. 4 იანვარი. ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

7 იანვარი. „ჟალგირისი“ (კაუნახი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი)

როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა ბოლო საკავშირო ჩემპიონატში დატოვა უმაღლესი ლიგა და გაიანდა II ჯგუფის გუნდების ტურნირში იასპარეზებს.

ჩემპიონატი დაიწყება 1971 წ. 25 იანვარს. 16 გუნდი დაეყოფა 4 ჯგუფად. „ა“ ჯგუფი იასპარეზებს თბილისში. აქ გამოვლენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი, ტაშკენტის „მეხნატი“, ნოვოსიბირსკის „დინამო“ და საჯონკურსკის ტურნირში გამარჯვებული გუნდი. „ბ“ ჯგუფში (ტურნირი ჩატარდება ფრუნზეში) გამოვლენ: ტარტუს უსკა, ფრუნზეს სკიფ — „ალგა“, მინსკის „რადიოტექნიკი“ და რესპუბლიკის გუნდებს შორის სპეციალურ ტურნირში გამარჯვებული კოლექტივი. „გ“ ჯგუფში (მოეწყობა ალმა-ათაში) მოხვდნენ: როსტოვის, ალმა-ათისა და ვორონეჟის „ბურევესტნიკი“, აგრეთვე, ლენინგრადის „ტრუდი“. „დ“ ჯგუფში (შეჯიბრება ერევანში გაიმართება) თავი მოიყარა ოთხმა გუნდმა — კომინიოვის „ინდოლოტროიმი“, პენზისა და ერევნის „სპარტაკი“, აგრეთვე, დონეცკის დსკ-3.

ჯგუფებში I-II ადგილზე გასული კოლექტივები იბრძობენ უმაღლესი ადგილებისთვის, დანარჩენი გუნდები კი სტრუქტურულ ცხრილის ქვედა საპარეზობის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე ბოლო ორი კოლექტივი გამოეთიშება. დარჩენილი ექვსი გუნდი კი 20-26 მარტს გათამაშებს ადგილებს პირველიდან მეექვსემდე. ამ შეჯიბრებათა მასპინძლების ვინაობას კალათბურთის საკავშირო ფედერაცია მოგვიანებით გამოაცხადებს.

**სამი მატჩი**

გამართა ევროპის ჩემპიონატის კიდევ 3 შესარჩევი მატჩი ფუნდამენტალურ ტურნირში. რუმინეთის ნაკრებმა თავის მოედანზე მიიღო ფინეთის გუნდი და დამარცხა იგი ანგარიშით 3:0 (2:0). 24-ე და 42-ე წუთებზე მეტოქის კარი აიღო დემეტრევემ, ხოლო ნუნვილერმა კიდევ უფრო განამტკიცა რუმინელთა გამარჯვება — 3:0.

როტერდამში ევროპის ვიცე-ჩემპიონებმა, იუგოსლავიის ფუნდამენტალურ ტურნირში — 1:1 — ითამაშეს პოლანდიელებთან. ანგარიში 24-ე წუთზე გახსნა ჩინიმა, მაგრამ 26 წუთის შემდეგ პოლანდიელმა იზრაელმა საპასუხო გოლი გაიტანა.

ასეთივე ანგარიშით დამთავრდა მალტისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი. ინგლისის ნაკრები ხომ შეეცაირის ეროვნულ გუნდთან ერთად მესამე შესარჩევი ჯგუფში გამოდის.



**სპორტი** მარტო ახალგაზრდობას როდი იტაცებს. ცნობილია ბევრი შემთხვევა, როცა ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებულებსაც გაუოცებიათ სპორტული სამყარო.

„თბილქსოვილივატრობის“ აპარტის თანამშრომელი ო. ჰიჭინაძე 46 წლისაა, მაგრამ მინც შეძლო შეუხვედრებლად გაეცურა 20 კილომეტრზე მეტი ათონიდან სოხუმამდე. ჰიჭინაძემ სტარტი ახალი ათონის ნავსადგურიდან დილის 9 საათსა და 30 წუთზე აიღო, საღამოს 8 საათსა და 20 წუთზე კი ფინიში სოხუმის „განთადის“ საწყობის სავალიაში ჰქონდა. ესე იგი, მამაცი სპორტსმენი 10 საათსა და 50 წუთს ცურავდა. ამ დროის განმავლობაში მან 23 კმ და 500 მეტრი დაფარა. გზაზე სპორტსმენი ებრძოდა ქარს, ზღვის დინებას, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი იყო მდინარე გუმისთვის შესართავთან. ამ მიდამოებში წყლის ტემპერატურა დაბალი იყო (17 გრადუსი) და სპორტსმენმა 1500 მეტრის გატურვას 3 საათი მოანდომა.

ო. ჰიჭინაძე თბილისის მკვიდრია, წარსულში იგი კარგი ძალოსანი იყო, 1961 წლიდან კი მართლაც ცურვაში დაიწყო ვარჯიში. მისი ოცნებაა მომავალში შეუსვენებლად გატუროს ბიჭვინთიდან სოხუმამდე (60 კმ).

ო. ჰიჭინაძემ ეს სარეკორდო გატურვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიუძღვნა.

**გ. იაშვილი.**  
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.  
სურათზე: ო. ჰიჭინაძე ცურვის დროს. კვების პუნქტში.  
ავტორის ფოტო.

**რედაქტორის მოადგილე**  
**ზ. ჯაფარიძე.**

თბილისის სახალხო განათლების განყოფილების საწყობის სახეობების ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორია აცხადებს 1961-62-63-64 წლებში დაბადებული გოგონებისა და ბიჭების მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სპორტსკოლის დირექტორიაში: საირმის ქ. № 51 (საბურთალო).

**სპორტსკოლის დირექტორი.**